საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00040

კოდი N D 1 „25" „სექტემბერი" 2006 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი — შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია"

2. საქმიანობის მიზანი — ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების განთავსება

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა — დედოფლისწყაროს რაიონი ტარიბანასა და მირზაანის მიდამოები

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია — შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია — პროექტი

6. ნებართვის გაცემის საფუძველი — სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე № 76; 08.09.06

7. ნებართვის პირობები — ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების პირობით

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1036

ქ. თბილისი "22" 09 2006 წ.

შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-2 და მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ნარჩენების განთავსების საქმიანობაზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №76; 08.09.06წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის ირაკლი კვაშილავას მოხსენებითი ბარათი

დ. ტყეშელაშვილი
მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ძმა,; ტელ: 72 17 48, ფაქსი: 72 17 48, E-mail:ecocgzam@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი კვაშილავა
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ 76

08 09 2006 წ.

I. საერთო მონაცემები

1. პროექტის დასახელება – „ნავთობისა და გაზის ნარჩენების განთავსება XII ბლოკზე“
2. ინვესტორის დასახელება და მისამართი – შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“ ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №12
3. განხორციელების ადგილი – დედოფლისწყაროს რაიონი, ტარიბანასა და მირზაანის მოედნები

1. განაცხადის შემოსვლის თარიღი - 18.08.06
2. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ მიერ სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია დოკუმენტაცია კომპანიის სალიცენზიო მე-12 ბლოკის ფარგლებში ნავთობისა და გაზის ნარჩენების განთავსებაზე.

შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ მიერ სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია აღმოსავლეთ საქართველოში მე-12 გეოლოგიურ ბლოკზე დაახლოებით 5060კვ. კმ-ზე. ნარჩენების განთავსების დაგეგმილი სამუშაოები ჩატარდება ბლოკის ორ ნაწილში: ტარიბანასა და მირზაანის მოედნებზე. კომპანიის მიერ 2000 წელს ჩატარდა გარემოზე ამომწურავი შეფასება მე-12 ბლოკის სრული ათვისების მიზნით.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია 2005 წლის ზაფხულში შესრულებული ჰიდროლოგიური შესწავლის შედეგები, რის საფუძველზეც შეიქმნა პიეზომეტრული რუკა, დადგინდა მიწისქვეშა წყლების დინების მიმართულებები, განისაზღვრა ტემპერატურის გრადიენტი, მიწისქვეშა წყლების ხარისხი და მისი ცვალებადობა, შეფასდა ამ წყლების სადრენაჟო ადგილები, განისაზღვრა საბურღი ჭებისათვის შესაფერისი ადგილები. აღებულია და გაანალიზებული წყლების 100-ზე მეტი სინჯი.

კომპანიის მიერ ამჟამად დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების ჩატარება: წინა ოპერაციებიდან დარჩენილი ნავთობის შლამების, ნავთობით დაბინძურებული ნიადაგების გაწმენდის, ინერტული მასალების ნარჩენების და სხვადასხვა ქიმიკატების ნარჩენების განთავსება უსაფრთხო პირობებში. ეს ნარჩენები მეტწილად დარჩენილია ტარიბანისა და მირზაანის საბადოებზე, ღია საწყობებში, ცისტერნებში და სხვა კონტეინერებში.

სამუშაოები გულისხმობს ზედაპირიდან ნებისმიერი ნავთობის აღებას, ხსნარების ამოტუმბვას და ტრანსპორტირებას მირზაანის წყლების გადასამუშავებელ ობიექტზე, ორმოს ფსკერიდან ნავთობის შლამის ამოწმენდას, ორმოს ამოვსებას ნიადაგით და დაფარვას. მათი განთავსება მოხდება ორ ადგილზე – ტარიბანაში და მირზაანში. გასუფთავება მოხდება ბიორემედაციის მეთოდით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დეტალურადაა ახსნილი მეთოდის არსი, განხილულია პროცესის კონტროლთან დაკავშირებული საკითხები აგრეთვე ფიზიკური, ქიმიური და ბიოქიმიური პირობების გავლენა ბიორემედიაციის პროცესზე.

პროექტში განხილულია ნარჩენების ტიპები და ისინი პირობითად დაჯგუფებულია 4 ტიპად. ესენია:

5. წინა ოპერაციებიდან დარჩენილი ნავთობის შლამი;

6. წინა ოპერაციების დროს დაღვრისა და გაჟონვის შედეგად ნავთობით „დასვრილი“ ნიადაგი;
7. ინერტული მასალები (მაგ; ბარიტი და ქვიშა);
8. სითხეები კონტეინერებში, რომლებიც არ იქნა გამოყენებული წინა ოპერაციებისას.

ნარჩენების განთავსების მოწყობილობების არსია სამი მეთოდის: ნარჩენის გადამუშავების, შენახვისა და მოცილების უზრუნველყოფა. ნავთობიანი მასალების (1-ლი და მე-2 კატეგორიის ნარჩენები) გაუვნებელყოფა მოხდება მიწის გადამამუშავებელი ტექნოლოგიით, ინერტული მასალები (მე-3 კატეგორიის ნარჩენები) დაიმარხება ორმოებში, რომლებიც ამოგებული იქნება სინთეზური საფენებით და დაიფარება ჯერ სინთეზური საფენით, შემდეგ მიწით, ინერტული მასალა შემდგომში გამოყენებული იქნება დაზიანებული გზების შესაკეთებლად. არამავნებელი სითხეები (მე-4 კატეგორიის ნარჩენები) გადამუშავდება მირზაანში ნარჩენების გადამამუშავებელ მოწყობილობაში. მავნე ნივთიერებები, რომლებიც განთავსებულია ცისტერნებში, ღია საწყობებში, განთავსებული იქნება ტარიბანის სპეციალურად მოწყობილ მოედანზე, რომელსაც ექნება ბორდიური ნებისმიერი გაჟონვის თავიდან ასაცილებლად.

ექსპერტიზის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნას

III. შენიშვნები

1. დამუშავდეს და დამტკიცდეს მონიტორინგის/თვითმონიტორინგის კონკრეტული გეგმა მასზე პასუხისმგებელი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მითითებით;
2. შემუშავდეს ავარიული და ხანძარსაწინააღმდეგო სიუტუაციების თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებები;

IV. დამატებითი პირობები

1. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;

2. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, წარდგენილ იქნას ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

V. დასკვნა

შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია "-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ნავთობისა და გაზის ნარჩენების განთავსების პროექტი"-ს მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე: ნ. ხეცურიანი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების
მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო
State Agency for Regulation of Oil and Gas Resources of Georgia

№ 7-8-4/016 "10" ივლისი 2006 წ.

შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას"
გენერალურ დირექტორს
ბატონ ზ. მამულაშვილს

ბატონო ზაზა,

გაცნობებთ, რომ თქვენი განაცხადი, ნარჩენების განთავსების შესახებ დამტკიცებულია.

პატივისცემით,

სააგენტოს უფროსის მოადგილე / ა. ჭაბუკიანი /

ალ. ყაზბეგის გამზ. 45 თბილისი 380077 საქართველო/ Al. Kazbegi ave. 45 Tbilisi 380077 Georgia
ტელ/Tel: (+995-32) 25-33-00/99; ფაქსი/Fax: (+995-32) 25-33-11
ელ.ფოსტა/E-mail: sarogr@access.sanet.ge

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო
State Agency for Regulation of Oil and Gas Resources of Georgia
თბილისი 0177, ყაზბეგის გამზ 45, ტელ/ფაქ 25-33-99 E-mail sarogr @ access.sanet.ge

ფორმა №7

განაცხადი

ნავთობისა და გაზის ნარჩენების განთავსებაზე ნებართვის მისაღებად

განაცხადის წარდგენა სავალდებულოა სამუშაოების დაწყებამდე 30 დღით ადრე, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესების მუხლი 26-ის შესაბამისად. სამუშაოების ჩატარება მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ნებართვის გარეშე გამოიწვევს პასუხისმგებელი პირის დასჯას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96^3 მუხლის შესაბამისად ან ლიცენზიის მოქმედების შეჩერებას.

განაცხადის წარმდგენი: შპს "ფრონტერა ოფეინ ქოლენ"

მისამართი: ფალიაშვილის ქ. №12, 0179 თბილისი, საქართველო

ტელეფონი: 252412 ფაქსი: 252414 ელ ფოსტის მისამართი: mauri@andreopoulos.com

გთხოვთ მოგვცეთ ნებართვა ნარჩენების განთავსებაზე

ოპერატორი/მენარდე: ელიგულაშვილი, ბოლქვის ქ. №15
(ოპერატორის/მენარდის, მისამართი, ტელ/ფაქსი)

ჭაბურღილის მდებარეობა XII ბლოკი ბრილი და ყარაგანის საბადო
(ლიცენზირებული ბლოკის ნომერი, საბადო, ფართობი)

(განაცხადის ფორმა უნდა შეივსოს მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად).

სამუშაოს დაწყების სავარაუდო დრო "15" ოქტომბერი 2006

სამუშაოს დასრულების სავარაუდო დრო "15" დეკემბერი 2006

ნარჩენების განთავსების გეგმა : ☑ იყო წარმოდგენილი (თარიღი) 20.04.06 ; ☐ არ ყოფილა წარმოდგენილი.

განაცხადს თან ერთვის:

☑ ნარჩენების განთავსების გეგმა

კონტრაქტორის/ოპერატორის პასუხისმგებელი პირი [signature]
(ხელმოწერა)

თარიღი: 3/10/06

ბ.ა

"ფრონტერა ოფეინ ქოლენ" FRONTERA EASTERN GEORGIA LTD 04905674

განაცხადი: დამტკიცებული
(დამტკიცებული / არ არის დამტკიცებული)

თარიღი: 10.10.06

სარეგისტრაციო №: XII-TM-0GWD-0

მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსი: [signature]

ბ. ა.

შემოს. №7-1/052